

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირაკლი პაპავა

ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი 02

თბილისი, 0175, საქართველო

2015 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

/ვ.დათაშვილი/

ოფიციალური რეცენზენტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

/ა.აბრალავა/

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

/ა.სილაგაძე/

დაცვა შედგება 2016 წლის ----- თებერვალს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სრული პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

Description of the title of Ph.D. Thesis: “Business environment and role of state in its improvement” is quite actual in response to contemporary challenges. In spite of transformation from planning economics to market economics, government couldn't finally manage to create strong business environment and couldn't implement encouragement reforms for business entities. From the beginning period of independence up to now, reforms of development and implementation took place on the government and legislative level, which encouraged the country to cross the transitional stage and transfer on the course of developing strong economics. This period is described as a heavy economic crisis, which was based on subjective and objective reasons. 25 years has gone and it should have been enough for developing and improving economic parameters and business environment, but we can get these results in future perspective. According to the analysis, the countries that were on the level of Georgian economic development in 90s, currently appear to be quite far from our country and have the status of developed or rapidly developing countries.

Development of a strong business environment is a basis of the modern democratic state. A vibrant and attractive business environment is the key of solving social-economic problems and improving the life of the population. Business development and the arrangement of the free competitive environment depends on the skills of entrepreneurs, but the government has the most important role. Business environment causes the economic growth and development of business sector.

The quality of government role in economics is mostly depended on the economic route chosen by government and the model of social-economic development. The government participation in trade economics is quite decreased. The most important role of the official organs is to influence upon effective working of market management, on the other hand government is supposed to directly organize and realize the issues where the trade relationships are irrational or substantially limited.

Government participation is necessary in the country based on transformed economics. It has to make significant influence on economics and to participate actively by realization of the opportunities delegated towards him by the society. The main target of the government's participation in transformation period is implementation reforms of old economics system and create convenient conditions for developing new economic system.

According to the Economic Theory, for the macroeconomic development of the country, synergic advancement of its every economic sector is essential. Hence, it is very important to create supportive conditions for national economic development. Such kind of country supportive economic policy is especially important for small developing nations, while the global economic system creates threats and increases risks to small countries' not only economic “health”, but their national identity as well.

Such approaches mean creating stimulating conditions for national economics and manufacturing. In the contemporary world, the only body, able to execute organizational function in transformation process from old to new systems, is the state itself. This fact clarifies that the state's input and role in this process is of objective importance; furthermore, it has the crucial role.

The following paper substantiates newsworthy of researching topic; studies existing conditions; evaluates the reasonableness of the reforms carried out for formatting competitive environment; states research goal, object, problem, subject; summarizes primary outcomes and scientific novelty; indicates its practical value. Questions regarding the problem stated in the dissertation are raised and appropriate answers are therefore given. The dissertation also defenses questions about the reasons of scientific studies of above-mentioned problem; alternative methods for problem solution and namely, the methods which are applied in the paper.

Georgia is a country with an developing economy and large number of external factors affect on it. In conditions when the country mostly depends on imported products and foreign investment it is difficult to determine the expected economic results on the macro or micro basis. Since getting the independence of the country there was not developed long-term development plan on the legislative level, ministries and competent state authorities did not have an action plan and therefore their activities were focused only on short-term results.

Socio-economic changes in Georgia performed in last years, have a positive impact on entrepreneurship and on business development possibilities in general. In spite of this still is not used the full potential of the business sector and its sustainable development opportunities.

The main objective of competition policy in developed countries is to protect and promote the market for effective competition. Competition is a key element that creates market economy using supply and demand mechanisms. Competition not only gives customers the opportunity to receive high-quality products an adequate price, but also encourages suppliers to increase productivity and use innovative approaches.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. საერთაშორისო ეკონომიკური მოვლენების ფონზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ სუსტი განვითარების ტენდენციით ხასიათდება. ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მდგრადი ბიზნეს კლიმატის ფორმირებისთვის. გასული ათწლეულებში გადატანილი ომებისა და ეკონომიკის სრული კრახის შედეგად, ძალიან ბევრი ეკონომიკური სუბიექტი განიდევნა ბაზრიდან. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე კი სახელმწიფოს არანაირი მექანიზმები არ გააჩნდა ამ პროცესებთან საბრძოლველად. ძველი სისტემა უკვე მთლიანად მოშლილი იყო, ახლის შესაქმნელად კი ვერ მოხერხდა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმა და შესრულება. აღნიშნული კრიზისი უფრო მარტივად იქნებოდა დაძლეული თუ სახელმწიფო შეძლებდა კომუნისტური წყობიდან მემკვიდრეობით მიღებული უზარმაზარი საწარმოებისა და ფაბრიკების კომპლექსის შენარჩუნებასა და მათი განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. მსგავს ხერხებს მიმართეს ბალიტიისპირეთის ქვეყნებმა და შედეგაც არ დააყოვნა, დღესდღეობით მათი ეკონომიკური განვითარების დონე ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდება. საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად დაინგრა საქართველოს ეკონომიკაც. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს სისტემა ინერციით, და აქედან გამომდინარე, სრულიად უკონტროლოდ განაგრძობდა არსებობას. თუმცა საბოლოოდ ყველა მექანიზმი მოიშალა და ქვეყანაში დაიწყო მწვავე კრიზისი, რასაც თან დაერთო ვალუტის მკვეთრი გაუფასურება - ჰიპერინფლაცია.

ეკონომიკური სისტემა დარჩა რეგულაციების და იმ პირობების გარეშე, რასაც ხელი უნდა შეეწყო ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. გაჩნდა სიცარიელე, რომლის ამოვსებაც სახელმწიფომ 1993-95 წლებში გატარებული ეკონომიკური რეფორმებით სცადა, თუმცა რეალურად ეს ყველაფერი

მხოლოდ ფორმულირების დონეზე გაკეთდა. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ რეფორმებს საძირკველს გაუმაგრებდა, არ შექმნილა; და თუ რაიმე ხდებოდა ამ სფეროში, მხოლოდ სპონტანურად და დაუგეგმავად.

მიუხედავად თანამედროვე პირობებში მიღწეული დადებითი შედეგებისა, სახელმწიფო სისტემამ განვითარებული კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა ბოლომდე ვერ უზრუნველყო.

ეკონომიკური სისტემის (და არა მხოლოდ) შემდგომი რეფორმირების მიზნებია მისი მდგრადობის განმტკიცება, განვითარებისათვის საჭირო კომპლექსური ღონისძიებები შემუშავება და რეალიზაცია, სახელმწიფოს როგორც ეკონომიკის ერთერთი მონაწილის როლის სწორი განსაზღვრა, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება და ეკონომიკური პარამეტრების ამაღლება წარმოადგენს.

დასახული მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა ტიპის კომპლექსური ღონისძიებების გატარების გზით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, რომელმაც განვითარების დიდი გზა გაიარეს დროის მოკლე ინტერვალში.

ჩვენთვის, როგორც ევროკავშირის სამომავლო წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის, ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ევროპულ სისტემებთან მაქსიმალური დაახლოება. ეს შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროს, მათ შორის ეკონომიკასაც. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ევროკავშირის ინიციატივა სამეზობლო პოლიტიკის შესახებ რაც შეიძლება მალე გადაიზარდოს უფრო სერიოზულ ურთიერთობაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ამიტომაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა იმ საკანონმდებლო აქტის ჰარმონიზაცია, რომელიც ზემოაღნიშნულ სფეროებს რეალურად დაახლოვებს ევროპულ ანალოგებთან.

სამთავრობო თუ საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობამ, მისი თეორიული დასაბუთების დიდმა პრაქტიკულმა

მოთხოვნადობამ, კომპლექსური ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიის არ არსებობამ მისი მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის რიგი საკითხების დაუმუშავებლობამ მოცემული კვლევის თემის და შინაარსის არჩევა განაპირობა.

როგორც ვხედავთ, ყველა ჩამოთვლილი საკითხი უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის. მათ მოგვარებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ქმედითუნარიანი და მოქნილი იქნება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად დააკმაყოფილებს ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სტანდარტებს, და ბოლოს, როგორ შეძლებს განახლებული სისტემის მორგებას ევროკავშირის სისტემასთან, რომელთან ინტეგრირებაც, სხვა მრავალი სფეროს ინტეგრაციის კვალდაკვალ, ჩვენი სამომავლო განვითარებისათვის მეტად საჭირობოროტო საკითხია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდეს ღონისძიებებისა და რეფორმების ერთიანი კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას სახელმწიფოს მონაწილეობით, საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მისადაგებით მისი ტრანსფორმაციის და განვითარების ალტერნატიული კონცეფციის შემუშავება, აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელობისა და პრიორიტეტულობის წარმოჩენა საქართველოს მომავალი განვითარებისა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების რეალური პერსპექტივების ჩამოყალიბებისათვის.

კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიის ავტორისეული განმარტება არსებული პირობებისადმი და შედეგებისადმი სისტემურ მიდგომებზე, რეტროსპექტიული და პერსპექტიული ანალიზის მეთოდოლოგიის მემკვიდრეობითობადობის უზრუნველყოფაზე არის დაფუძნებული.

ამ მთავარი მიზნის მისაღწევად, სადისერტაციო გამოკვლევა იდგა შემდეგი ამოცანების წინაშე:

- პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა;
- კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს უპირატესობების ანალიზი;
- საქართველოში ბიზნეს გარემოს სტანდარტების ევროპის მინიმალურ სტანდარტებთან მიახლოების შანსების გამოკვლევა;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;
- ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების, ფორმალური პრინციპებისა და ფუნქციების გამოკვლევა;
- ბიზნეს გარემოზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების გამოკვლევა;
- ბიზნეს გარემოზე მოქმედი სახელმწიფო ბერკეტების შესწავლა;
- ინსტიტუციონალური და საორგანიზაციო რეფორმების აუცილებლობის წარმოჩენა;
- საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების საჭიროების წარმოჩენა ბიზნეს გარემოს რეფორმირებისათვის;
- ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ასპექტები
- ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარების აუცილებლობა;
- საბანკო სისტემის განმტკიცების აუცილებლობა;

ნაშრომში მოცემულია ზემოთ დასმული ამოცანების გადაწყვეტის მცდელობა.

კვლევის საგანი და ობიექტი. გამოკვლევას ექვემდებარება ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების გზები და მისი სახელმწიფო რეგულირების ასპექტები. კვლევის ობიექტს კი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკა, მისი ანალიზი და პერპექტივები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკური მეთოდი, როგორც საერთო მოდგომა კომპლექსური ანალიზისადმი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული მეთოდები, მისი მაჩვენებლების სისტემის (დაჯგუფება, შედარების მეთოდი, ინდუქციური

მეთოდი და სხვები) ანალიზისა და შეფასების ტრადიციული მეთოდები და მათი ეკონომიკური მეთოდებით ინტერპრეტაცია. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ქვეყნის, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და რეკომენდაციები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები და სემინარები, შესწავლილია ამ კუთხით არსებული უახლესი ეროვნული და უცხოური ავტორების საერთო და სპეციალური ლიტერატურა, ასევე სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული ანგარიშები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების საფუძველზე ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემო ფორმირების შესაძლებლობას იძლევა.

მეცნიერული სიახლის მომცველი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

- ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც კონკურენტუნარიანი გარემოს განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის, არსის, დანიშნულებისა და მიზნის დღემდე არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია

საქართველოში ერთიანი სრულყოფილი სისტემის განვითარების ახალი კონცეფცია;

- შემუშავებულია კომპლექსური ღონისძიებების ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ფორმირებას, დღეს არსებული გამოწვევების ფონზე;

- დასაბუთებულია სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა ეკონომიკური გარემოს ფორმირების პროცესში;

- დასაბუთებულია სახელმწიფო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, მისი რეალიზაცია და პერიოდული მონიტორინგი;

- შემუშავებულია ყველა ის ძირითადი საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ფორმირება;

- საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მოდელების მახასიათებლების შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე, წარმოჩენილია ეკონომიკური პოლიტიკის საქართველოსთვის მისაღები მიმართულებები;

- განმარტებულია ინოვაციური ტექნოლოგიების წახალისებისა და გამოყენების აუცილებლობა ეროვნულ ეკონომიკაში დღეს არსებული გლობალური გამოწვევების ფონზე;

- დასაბუთებულია მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარების საჭიროება, რომელიც დაარეგულირებს ეკონომიკურ სუბიექტთა ურთიერთობებს ბაზარზე და უფრო მეტად უზრუნველყოფს როგორც მათი, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას;

- შემუშავებულია ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს საბანკო სისტემის სრულყოფის მიზნით. ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს, სწორედ კრედიტებზე ხელმისაწვდომობაა;

- დასაბუთებულია უფრო მეტი მასტიმულირებელი სახელმწიფო პროგრამების საჭიროება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბაზარზე ახალი ეკონომიკური სუბიექტების შემოსვლას და არსებულის განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.

- დასაბუთებულია ევროპული მოდელების ძირითადი ინსტრუმენტებისა და პრინციპების დანერგვის აუცილებლობა, საქართველოში ბიზნეს გარემოს სამომავლო განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ღონის ამაღლებისათვის;

მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციაში დამუშავებული ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგია, უზრუნველყოფს დღეს არსებული მდგომარეობის სწორ შეფასებას და იძლევა საშუალებას

მოხდეს კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირებისათვის აუცილებელი შესაბამისი რეფორმების გატარება.

გამოკვლევა ჩატარებულია საქართველოს ეკონომიკური სისტემის რეფორმირების ოპტიმალური მიმართულებების შესარჩევად. ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილმა წინადადებებმა და კონცეფციებმა შესაძლოა, პრაქტიკული გამოყენება ჰპოვოს აღნიშნულ სფეროში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და დანერგვა. შესრულებული კვლევის შედეგები გადმოცემულია ავტორის მიერ გამოცემულ სტატიებში და ასევე გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციების კრებულებში.

კვლევის შედეგების პუბლიკაციები. სადისერტაციო კვლევის პრობლემებთან მიმართებაში ავტორის მიერ 5 სამეცნიერო ნაშრომი არის გამოქვეყნებული, მათ შორისაა ორი საერთაშორისო კონფერენცია. სტატიები დაბეჭდილია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში: „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის I რეგიონალური სიმპოზიუმში თემაზე: „საკრუიზო ტურიზმი – მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაში - “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები”.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო კვლევა შედგება შესავლისგან, 3 თავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, რომელიც მთლიანობაში მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 147 გვერდს.

ნაშრომის შინაარსს გააჩნია შემდეგი თანმიმდევრობა:

ცხრილების ნუსხა
ნახაზების ნუსხა

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულაციის როლი, მიზანი და ამოცანები.

- 1.1. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში
- 1.2. სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის დონისა და პოლიტიკური წყობის ურთიერთდამოკიდებულება
- 1.3. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანი და ამოცანები

თავი II. გარდამავალი პერიოდის პრობლემები საქართველოს ეკონომიკაში და სახელმწიფოს როლი.

- 2.1. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში
- 2.2. ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ასპექტები
- 2.3. სახელმწიფო სტრატეგია 2020

თავი III ეკონომიკური მარეგულირებელი ინსტიტუტები, საინვესტიციო გარემო და ევროკავშირი.

- 3.1. ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება-ანტიმონოპოლიური სამსახური
- 3.2. საინვესტიციო გარემო საქართველოში და ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან.
- 3.3. ბიზნესის მხარდაჭერა და საბანკო სისტემის განმტკიცების აუცილებლობა
- 3.4. საქართველოს ინოვაციური განვითარების გზა და მისი საერთაშორისო რეიტინგები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხი გაცემულია შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულაციის როლი, მიზანი და ამოცანები“ იხილავს შემდეგ სამ პარაგრაფს: 1.1. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, 1.2. სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის დონისა და პოლიტიკური წყობის ურთიერთდამოკიდებულება და 1.3. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანი და საზღვრები.

განხილულია სახელმწიფო მექანიზმების როლი ეკონომიკაში. ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ფორმირება და ამ პროცესის ხელშეწყობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სახელმწიფო მოწოდებულია გადამწყვეტი როლი ითამაშოს გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებში თუმცა სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს გარკვეული საზღვრები. არსებული მიზნებიდან უპირველესია სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას და საბაზრო მექანიზმის მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. ამ

ეტაპზე სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ხდება კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. კანონშემოქმედებითი ფუნქციის რეალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მოითხოვს საკანონმდებლო აქტების დიდი პაკეტის შემუშავებას და დამტკიცებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობას, განსაზღვრავენ სუბიექტების უფლება-მოვალეობებს საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ზღუდავენ სამეურნეო საქმიანობის სფერობს და სახეებს, ადგენენ განსაზღვრულ ნორმატივებსა და სტანდარტებს და სხვა.

ისტორია მეტყველებს, რომ კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირება აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკის გასავითარებლად, არამედ დემოკრატიის შესანარჩუნებლადაც. პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი პირობა კი კერძო საკუთრებაა. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია ორმხრივად არის დაკავშირებული სახელმწიფოს რეფორმირებასთან: ჯერ ერთი, მას მინიმუმამდე დაჰყავს ეკონომიკაში მისი გავლენის სფერო, და მეორეც, იგი აუცილებელი პირობაა დემოკრატიის არსებობისათვის. ამიტომ თავისუფალი ეკონომიკის მშენებლობას უნდა ვესწრაფოდეთ ერთი მხრივ, ეროვნული მეურნეობის განვითარების მიზნით და, მეორეს მხრივ, ამას მოითხოვს ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების ინტერესები.

ქვეყნები, სადაც მეტისმეტად გაზვიადებული იყო სახელმწიფოს როლი, ეს კი პირველ რიგში ეხება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, აღმოჩნდნენ ძალზედ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის აუცილებლობის წინაშე. მსგავს შემთხვევებში ტრანსფორმაციის პროცესები ძირითადად ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: პირველი, უნდა შეიკვეცოს სახელმწიფოს ზედმეტი (ხშირად მავნე) საქმიანობის მასშტაბები. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის როლს და ასევე, მის მეტისმეტად გაზრდილ სოციალურ ფუნქციას. ეს, უპირველესად, უნდა განხორციელდეს პრივატიზებისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზით. პარალელურად უნდა მოხდეს სახელმწიფოს უნარისა და შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მან შეასრულოს თავისი უმთავრესი ფუნქციები, ისეთები,

როგორებიც არის: კანონის შექმნა და თვალყურის დევნება მის შესრულებაზე, ადამიანების დაცვა ბუნების სტიქიური მოვლენებისა და ასევე სხვა ადამიანებისაგან და ა.შ. ეს ორი სახის რეფორმა აუცილებელია იმისათვის, რომ ეკონომიკა სათანადოდ განვითარდეს, ხოლო სახელმწიფო პირნათელი იყოს თავისი მოქალაქეების წინაშე, როგორც თავისი უპირველესი ფუნქციის სათანადოდ შემსრულებელი.

სადისერტაციო ნაშრომის II თავში „გარდამავალი პერიოდის პრობლემები საქართველოს ეკონომიკაში და სახელმწიფოს როლი“ განხილული სამი პარაგრაფი: 2.1. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, 2.2. ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ასპექტები და 2.3. სახელმწიფო სტრატეგია 2020.

საქართველოში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო სისტემად გარდაქმნის პროცესი სპეციფიკურად წარიმართა რიგი მიზეზების გამო. ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოში მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. რეფორმების დასაწყისისათვის პრაქტიკულად შეწყვიტა მოქმედება ეკონომიკის მართვის ძველმა სისტემამ, ქვეყანა კი აღმოჩნდა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე. ბუნებრივია, სახელმწიფოს შენარჩუნების და მისი ეკონომიკის რეფორმირებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად საჭირო იყო სახელმწიფოს როლის განმტკიცება.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ძირითად მიზნად იქცა: სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტების უმეტესობის ინტერესების გამომხატველ ხელისუფლების ორგანოს გაძლიერება, მაკროეკონომიკური პროცესების მართვადობის აღდგენა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და წანამძღვრების შექმნა ეკონომიკური ზრდის დაწყებისათვის. ამ მიზნების მიღწევა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის პირდაპირი ფორმების გამოყენებასთან. ირიბი ფორმები ამ დროს ჩამოყალიბებისა და აპრობირების სტადიაზე იმყოფებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან ხელისუფლება ცდილობდა შეემუშავებინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო ვადიანი პროგნოზები და პროგრამები.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირველი ფაზის დამამთავრებელ ეტაპზე სახელმწიფოს როლი უდავოდ გაიზარდა, ამაღლდა ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების ძალა. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, როგორც წესი, დაბალი იყო. შეცდომები და უზუსტობები ხელისუფლების მაღალი ემელონების საქმიანობაში ხელს უწყობდა არაეფექტიანი ან სახელმწიფო ორგანოების მიერ უკვე მიღებული კანონების საწინააღმდეგო საკანონმდებლო აქტების მიღებას. ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ეს და სხვა გარემოებები ხელს უშლიდა რეფორმირების ნორმალურ მსვლელობას; საქართველოში ტრანსფორმაციის პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაჭიანურდა. რეფორმები ზოგიერთ სფეროში არ არის დასრულებული, ხოლო ზოგან, პრაქტიკულად არც დაწყებულია. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რეფორმები საფინანსო და სადაზღვევო სექტორებში; საწყის ფაზაშია მიწისა და საპენსიო რეფორმები, ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმირება ჯერაც არ დაწყებულა. არსებითი უზუსტობები იყო საგადასახადო სისტემის რეფორმირებისას. სახელმწიფოსათვის დიდი მატერიალური დანაკარგების ფასად მოხდა საგარეო ვაჭრობის სისტემის რეფორმირებაც და ა.შ.

ქვეყნის სწრაფ განვითარებას, რა თქმა უნდა, გავლენა აქვს მილიონობით ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ამ განვითარებისათვის საჭიროა გამუდმებული მშვიდობიანი ბრძოლა, წინააღმდეგობის გაწევა სხვადასხვა, განვითარების წინააღმდეგ მიმართული ნაკადებისათვის. ეს, პრაქტიკულად, ორ რამეს ნიშნავს: ჯერ ერთი, საჭიროა გარკვეული ძალისხმევის გამოჩენა განვითარების სტრატეგიის გასაცნობიერებლად, და მეორეც, საჭიროა ასეთი სტრატეგიისათვის მხარის დაჭერა, ამისათვის დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების გამოყენება, მოქალაქეების ამ საქმეში ჩაბმა და სხვ. სწორედ არჩეული სტრატეგია მოითხოვს ასევე იმ ფაქტორების ცოდნასაც, რომელთა ამოქმედება თუ ფორმირებაც არის საჭირო, რათა მაქსიმალურად მივუახლოვდეთ დასახულ მიზნებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის განმავლობაში პირველად, 2013 წელს, დამუშავდა ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც

მოიცავს 2014-2020 წლებს და მიმართულია სწრაფი ეკონომიკური ზრდისკენ, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება რეგიონში. დასახული მიზნის მიხედვით 2020 წლისთვის საქართველო უნდა გახდეს საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანა. კერძოდ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2020 წლის ბოლოსთვის უნდა შეადგენდეს 8500 აშშ დოლარზე მეტს. ამგვარი შედეგის მისაღწევად საჭიროა, 7 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა, საშუალოდ, მსოფლიოს ეკონომიკაზე ორჯერ სწრაფად გაიზარდოს და ეკონომიკური ზრდის რეალურმა საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინოს 7%. 2012 წლის მონაცემით საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე არის 3520 აშშ დოლარი, ეკონომიკური სიმდიდრის გადანაწილების კოეფიციენტი (ჯინის ინდექსი) - 0.41. სტრატეგიის მიხედვით საქართველო რეგიონში შეასრულებს მიზიდულობის ცენტრის ფუნქციას და გაააქტიურებს მიზანმიმართულ ეკონომიკურ საქმიანობას.

დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ უნდა შექმნას არამარტო ბიზნესის კეთებისთვის საჭირო ფუნდამენტური პირობები, არამედ ისეთი გარემო, რომელიც ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდას, იზრუნოს, რომ რეგულაციები იყოს მაქსიმალურად ნათელი და ცხადი, შექმნას ბიზნესდავების გადაჭრის ეფექტური მექანიზმები და ხელი შეუწყოს ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით უნდა გადაიჭრას შემდეგი ძირითადი ამოცანები: მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, კონკურენციის ზრდის ხელშეწყობა, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწა, განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა, მომხმარებელთა ძალაუფლების ზრდა, კონკურენციის რეგულირების ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბება.

სადისერტაციო ნაშრომის III თავი „ეკონომიკური მარეგულირებელი ინსტიტუტები, საინვესტიციო გარემო და ევროკავშირი“ მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 3.1. ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება- ანტიმონოპოლიური სამსახური, 3.2. საინვესტიციო გარემო საქართველოში და ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, 3.3. ბიზნესის მხარდაჭერა და საბანკო სისტემის განმტკიცების აუცილებლობა და 3.4. საქართველოს ინოვაციური განვითარების გზა და მისი საერთაშორისო რეიტინგები.

საქართველოს კანონმდებლობით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ, განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით, შექმნილი სპეციალური უფლება-უნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებაა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ლიცენზიების და ნებართვების გაცემა, ასევე მათი მოქმედების შეჩერება, მოქმედების ვადის გაგრძელება, მათი მოდიფიცირება და გაუქმება. ასევე მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ტარიფების დადგენა და რეგულირება. მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება აქვთ მხოლოდ სასამართლო ორგანოებს. მარეგულირებელ ორგანოებს გააჩნიათ მთელი რიგი ფუნქციები და მოვალეობები, რათა მათ უზრუნველყონ მომხმარებელთა უფლებების დაცვა და საქმიანობის საჯაროობა, ასევე შესაბამისი სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო გარემოს შექმნა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ნეიტრალური და პოლიტიკური ჯგუფებისაგან თავისუფალი რეგულირების მყარ გარანტს.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო. ერთ-ერთი

წარმატებული იყო ინსტიტუტი, რომელსაც ბაზრის ანალიზი უნდა განეხორციელებინა და საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტის გამოჩენის შემთხვევაში, მისი ძალაუფლების განეიტრალება ან იმგვარ ჩარჩოებში მოქცევა უნდა მოეხდინა, რომ მომხმარებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა უფლებები არ დარღვეულიყო. საუბარია ანტიმონოპოლიურ სამსახურზე, რომელიც მსოფლიო ბანკის, აშშ-ის მთავრობის, ევროპული სახელმწიფოების მატერიალური, მეთოდური და ფინანსური დახმარებით იქმნებოდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა, რომლის უმთავრესი პრინციპიც იყო ეკონომიკაში რაც შეიძლება მინიმალური ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაცია არაეფექტურობის მოგვარების საუკეთესო გზად იქნა მიჩნეული. თუმცა ფაქტია, რომ ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში მონოპოლიური მდგომარეობის და განსაკუთრებით ტრესტული შეთანხმებების შედეგებმა მას შემდეგ იმდენად იჩინა თავი, რომ დღის წესრიგში შესაბამისი მარეგულირებელი სამსახურის აღდგენის საკითხი ისევ დადგა.

ბოლო პერიოდში, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა ისევ აქტუალური გახდა. ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ერთეული სახით და მისი ისტორია მოდის ამერიკიდან, რომელიც ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყანა. ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებს, ანტიმონოპოლიური სამსახური ეს არის აუცილებელი ატრიბუტი. შეგვიძლია, ამ მხრივ განვიხილოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ევროპაში ყველაზე ცნობილი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და სამსახური გერმანელებს აქვთ. არცერთ თავისუფალი ბაზრის მქონე ქვეყანაში, ანტიმონოპოლიური სამსახური არ არის თავისუფალი ეკონომიკის წინააღმდეგ მიმართული ან მისი განვითარების რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი. რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს,

იგი ვერ გასწევს ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახურის მაგივრობას, სანამ არ ექნება ზემოქმედების სერიოზული ბერკეტი. განვითარებულ ქვეყანებში ანტიმონოპოლიური სამსახური არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოში აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახური აღდგეს.

ასოცირების შეთანხმების მიზანი საქართველოს და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა. ეს ურთიერთობა საერთო ღირებულებებს ემყარება და ისეთი სფეროების თანდათანობით განვითარებას გულისხმობს, როგორცაა ვაჭრობა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და განათლება. ამ სფეროებს საქართველო ევროკავშირს სტანდარტებს დაუახლოებს. შეთანხმებული რეფორმების დასრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის სწორად განხორციელება საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა. კონკრეტული შედეგების დანახვას გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა, ძალისხმევითა და მოთმინებით კონკრეტული სარგებელი ხელშესახები გახდება.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი პრიორიტეტიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხეს - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

შეთანხმება საქართველოს ბევრ საგრძნობ სარგებელს მოუტანს. დროთა განმავლობაში ასოცირების შესახებ შეთანხმება განაპირობებს ქართველთა ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, განსაკუთრებით დემოკრატიის გაძლიერების, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის გაზრდის, ასევე უფრო ძლიერი და აყვავებული ეკონომიკის მეშვეობით. ეკონომიკის პროგნოზირებული ზრდა წელიწადში 4.3%-ის ტოლი უნდა იყოს. საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის - მსოფლიოში უდიდესი ბაზრის - მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით, საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან

ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების წყალობით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ ადაპტაციას.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამის ბევრი წინაპირობა არსებობს და მათგან უმთავრესია შემდეგი: მცირე ბიზნესს ძალზე სწრაფად შეუძლია ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება; მსხვილ საწარმოებთან შედარებით, ის გაცილებით მობილურია და შეუძლია სწრაფად გადაიარაღდეს ახალი, თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით; საქმის დასაწყებად და წარმოების განსავითარებლად ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს; ასაქმებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და ქმნის საშუალო ფენას. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკონომიკის უმუშევრობის დაძლევის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სადღეისოდ დაბალ დონეზეა და მათი წილობრივი მონაწილეობა ეკონომიკაში ძალიან მცირეა. კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და დამატებული ღირებულება მთლიანი ბიზნესის მაჩვენებლების 20%-ს არ აღემატება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის განვითარება უნდა მოხდეს როგორც ხელისუფლების მიერ ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, ისე კერძო ფირმების ერთობლივი ძალისხმევით. ძირითად საკითხად რჩება სახელმწიფო ორგანოს ჩამოყალიბება, რომლის მიმართაც

მცირე და საშუალო საწარმოებს ნდობა ექნებათ. ამ სფეროში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ასევე დასახელდა ის, რომ არ არსებობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფუნქციონირებადი, მდგრადი ბიზნეს ასოციაცია.

საწარმოთა ურთიერთობის ქსელში მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. დღეს საქართველოში ბიზნეს-ერთეულებს არ აქვთ ბაზარზე შესვლის პრობლემები, თუმცა მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ღირებულებათა შექმნის მთლიან ჯაჭვში კვლავ უმნიშვნელოა, ბიზნესის შემზღვეველი მრავალი იმ ფაქტორის გამო, რომლებმაც ვერ შეუწყვეს ხელი და შეზღუდეს პროდუქციისა და მომსახურების განვითარება.

საბაზრო ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა არამდგრადი კონიუქტურის მქონე კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად დაზარალდა, მრავალი კრედიტორი. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის სისტემის არარსებობით. მართალია, უკანასკნელ ხანს არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების სტრუქტურულიზაციამ, აგრეთვე იმ ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა, ეკონომიკურ-ნორმატივების შესრულება, ხელი შეუწყო საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობის განმტკიცებას. საკრედიტო რესურსები ბიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საკუთარი რესურსების შეზღუდულობის პირობებში, სწორედ ბანკების მეშვეობით ახერხებს ბიზნესი გაფართოებას და განვითარებას.

საკრედიტო რესურსების სიმცირე და სიძვირე საქართველოს კვლავ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა, რომელიც ქმნის იმის საფრთხეს, რომ მომავალში ქვეყნის განვითარება ზრდის ზომიერად დაბალ ტემპებს

შეიძლება ვერ ასცდეს, ხოლო სესხებსა და დეპოზიტების განაკვეთებს შორის სპრედის უცვლელი სიდიდე კი მეტყველებს იმაზე, რომ ბიზნესის წარმოება და ინვესტიციების დაბანდება საქართველოში კვლავ მაღალ რისკებთან იქნება დაკავშირებული.

კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინოვაციების წახალიჩებასა და გამოყენებას ეროვნულ ეკონომიკაში. სახელმწიფოსათვის ინოვაციური განვითარების გზა უნდა იყოს პრიორიტეტული. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რომ წარმოების განვითარება ინოვაციურ ხასიათს ატარებდეს, რომლის შინაარსიც წარმოების ინტენსიფიკაციასთან, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ინოვაციური პოტენციალის განვითარება ითვალისწინებს მართვის სისტემის მოდერნიზებას მისი ხარისხობრივად ახალ, მეტად პროგრესულ განვითარების დონეზე გადაყვანას ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მეცნიერული მიღწევების ახალი შედეგების და ახალი მართვის ორგანიზაციული სქემების გამოყენების გზით.

საბაზრო ცვლილებებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყნის მეცნიერულ-ინტელექტუალურ პოტენციალს. საქართველოს წონა მეცნიერული კვლევების სფეროში უპრეცედენტოდ დაბალია. ქართულ კომპანიებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერ-ჯერობით არ ძალუძთ წარმოებაში სიახლეების დანერგვა. მხოლოდ საწარმოთა მშენებლობა-აღდგენის საქმეში პასიური ინვესტიციების განხორციელება კი წარმოების პროცესის წარმატებულ ფუნქციონირების საშუალებას ვერ იძლევა. ეს პროცესები ვითარდება მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო მაღალტექნოლოგიური წარმოებით არის დაკავებული. ცნობილია, რომ იაპონიაში, ა.შ.შ.-სა და სხვა მოწინავე ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის 85-90% მიიღება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კორპორაციები, ეროვნული მეურნეობის დარგები მეტად აქტიურები გახდნენ ბრძოლაში თვითგადარჩენისათვის, თუმცა

კონკურენციის პირობებში ინოვაციური მუშაობა პრაქტიკულად პარალიზებულია.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდა დაფუძნებული იყოს მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე. შეხედუსლება, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სიტუაცია შესაძლოა მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვით შეიცვალოს არ არის სწორი. დღეს აუცილებელია მოთხოვნილებების ჩამოყალიბება კერძო ინვესტორის მიმართ ინოვაციური განვითარების შესახებ. ეფექტური წარმოების საშუალებების გამოყენებასთან ერთად, წარმოების ინტენსიფიკაციის მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება უკვე არსებული სამრეწველო პოტენციალის (შრომის საგნების და საშუალებების, სამუშაო ძალის) გამოყენების გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების შინაგანი რეზერვების აღმოჩენასა და გამოყენებას.

დასკვნა

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

1. სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ბიზნესს ჩამოყალიბება-განვითარებისთვის ოპტიმალური პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა; შექმნას კონკურენტული გარემო, შეძლოს ინფლაციის მოთოკვა, უზრუნველყოს ვალუტის გამყარება და კრედიტების და გადასახადების ოპტიმალური სატარიფო განაკვეთების დაწესება. სახელმწიფოს ევალება ბიზნესის სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა.

2. საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების გამოსწორებასა და ეკონომიკის სტრუქტურული პროცესის დაჩქარებაში საინვესტიციო გარემოს პირობების გაუმჯობესებამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს. სახელმწიფო პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს საინვესტიციო პოლიტიკის მეცნიერული დამუშავება, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების ღონისძიებების განსაზღვრისა და დაჩქარების პროცესისათვის ხელის შეწყობა, ეკონომიკაში დაბანდებული სახსრების უკუგების ზრდის საფუძველზე ინვესტირების საგარეო და საშინაო წყაროების ოპტიმალური შეთანაწყობა, ქვეყნის შიდა რეზერვების ამოქმედების მეშვეობით საგარეო ვალის მოცულობის მკვეთრად შემცირება, მრეწველობის განვითარებაზე აღებული სპეციალური პროგრამების შემუშავება, ინვესტიციების მოსაზიდად და გასახორციელებლად ხელსაყრელი ფაქტორების შექმნა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

3. დღესდღეობით არსებულ ეკონომიკურ პირობებში ძალიან დაბალია კომპანიების მოტივაცია, შეიძინოს „თანამედროვე დონის“ ტექნოლოგიები და შეისწავლოს ღირებული შრომითი უნარ-ჩვევები. არსებული პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციებსა და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემაზე, თანაბარი პირობების უზრუნველყოფა ყველა

ეკონომიკური წარმომადგენლისათვის და კონკურენტული გარემოს შექმნა თავისთავად წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მოთხოვნის განვითარების შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს იმ სახსრების მოცულობა, რომლებიც წარმოების აღორძინება-განვითარებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისკენ იქნება მიმართული. ახალი საწარმოების შექმნის საკითხში აუცილებელია ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის დაჩქარება და ფინანსური სექტორის გაჯანსაღება.

4. ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს ჩამოაყალიბებისთვის სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური, მან არ უნდა მისცეს უპირატესობა ერთ გადამხდელს და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს მეორე. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაჩვენებელია ის, რომ განათლებას, მსგავსად სხვა დარგების აბსოლუტური უმრავლესობისა, სჭირდება ინოვაციის გამუდმებული პროცესები, ხოლო ეს პროცესები გაცილებით სწრაფად და კარგად მიმდინარეობს კონკურენციის და არა მონოპოლიზმის პირობებში.

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს ინოვაციურ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებისა და მისი ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხს, რადგანაც ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე. ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა უკანასკნელ წლებში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს უმეტესად წარმატებული ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობით და შექმნილი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე სისტემის გამოყენებით, რომლის საფუძველს

შეადგენს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტიანი მექანიზმი. დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების ინოვაციური რეჟიმზე გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პირობებში.

6. ქვეყნის სამომავლო განვითარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე ამოცანების სწორად განსაზღვრას. ასეთ პირობებში მასზე დადებით ზეგავლენას მოახდენს ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრა, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2013 წელს დაამუშავა. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებულ მუშაობას და მათი როგორც ერთიანი მექანიზმის მუშაობას. ასოცირების ხელშეკრულებისა და ერთიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხორციელება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბიზნეს გარემოს განვითარებაზე. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, გაიზრდება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გაღრმავდება დიალოგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის, რაც უზრუნველყოს ბიზნესის ჩართულობას ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამ მიზნით, მოხდება სახელმწიფოს და ბიზნესს შორის თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

7. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ვაჭრობისა და ეკონომიკის ზრდას. ის, ასევე დაეხმარება ევროკავშირთან საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში არსებული ბარიერების მოხსნას. შეთანხმება დიდსა თუ მცირე ქართულ ბიზნესს ევროკავშირთან ვაჭრობის უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის და ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბიზნესს, ინვესტირება მოახდინოს საქართველოში. ზემოთ განხილული მიზნების განხორციელებამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც გამოიხატება ახალი ბიზნესების დაფუძნებაში, არსებული ბიზნესების გაფართოებასა და დივერსიფიკაციაში, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებაში, უცხოური ინვესტიციების ნაკადების

გაზრდაში, მწარმოებლურობის დონის ამაღლებაში, და ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებაში შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა თუ შეფასებებში.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში (30/01/2014);
2. ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში (27/06/2014);
3. ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში (12/02/2015);

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. „ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის განვითარებაში“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, ივნისი 2014 წელი, გვ. 109-114;
2. „ეროვნული ვალუტის შავი პარასკევი“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, დეკემბერი 2014 წელი, გვ. 10-18;
3. „ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის განვითარებაში“, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, ივლისი-აგვისტო 2015 წელი, გვ. 88-91;

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

4. „სახელმწიფოს როლი ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაში“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის I რეგიონალური სიმპოზიუმი თემაზე: „საკრუიზო ტურიზმი – მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, 30 აპრილი 2014 წ, კონფერენციის მასალების კრებული გვ. 261-269;
5. „ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის განვითარებაში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები”, 10-11 ივლისი 2015წ, კონფერენციის მასალების კრებული გვ. 139-142;